

რობერტ მესხი

ნიჟარები

თბილისი
2008

UDC (უაკ) 821.353.1-1
გ-587

ეს რობერტ მესხის ახალი კრებულია.
თითქოს გახშირებულა თოლიების ხმაური,
ზღვის მოქცევა, ნიჟარების იდუმალი ჩურჩული...
პოეტს ნოსტალგია კიდევ უფრო მოსხალებია, თუმცა
ეს არ არის სევდიანი წიგნი. ეს ნათელი წიგნია:
სიყვარულზე, ტკივილზე, ერთგულებაზე,
მონატრებაზე...

ახალი ინტონაციებიც გაჩენილა უცნაური
თინეიჯერებით, აბსტრაქციებით, მესიჯებით, ვებ-
გვერდებით და იმეილებით. და მაინც, პოეტს
არასდროს ღალატობს გემოვნება. მისთვის ლექსი
უპირველესად ესთეტიკური კატეგორიაა. ყველა
განცდა გულწრფელია, სულიდან მოდის, ტკივილიდან
ამოიზრდება. რობერტ მესხი თანამედროვე პოეტია,
გლობალურ სამყაროში ყვითელგულა გვირილებს,
ფუძფულა ღრუბლებს, უშორეს გემებს რომ
შეუუფვია.

“ლექსი არის ახალი ამბავი, რომელიც
ყოველთვის ახალ ამბად რჩება”, — ეზრა პაუნდი
გამახსენდა უნებლიერთ, რადგან ამ ლექსებს მხოლოდ
განცდა, ემოცია კი არ მოაქვთ, არამედ რაღაც ახალი,
იდუმალი, შეუცნობელი....

მარინე ტურავა

ალუბალი

დედას

რომ ვერ მოვდივარ?..
მკვდრები ცოცხლებთან როდი მიდიან...
ახლა მითხარი,
რომელია ჩვენ შორის მკვდარი —
შენ, ვინც წლებია გამჭვირვალე ზეცას იხუტებ,
თუ მე, რომელიც
იმ ალუბლის ხმაზეც ვცახცახებ,
თავთით რომ გიდგას...

2008

მომეჩვენა

მტკვარი ლვინობისთვის
ფოთლებს მიასვენებს,
იქვე თოლიებიც,
რიყის გაყოლებით,
ვითომ აჯავრებენ
მოხუც მებადურებს
ლუდის დაყოლებით
დროს რომ ატყუებენ...
ჰოდა, ჩავედი და
დიდხანს მათევზავეს,
კიდეც დავითვერი
ქაფიანი პივით,
მერე მომეჩვენა,
ვითომ წინ მიმავალს
ქუჩა მოგყვებოდა
გრძელი შლეიფივით...

2008

ქურდი

მეც ხომ ქურდი ვარ,
ზოგჯერ თვალებს
შემოგაცეცებ,
შენს ჩრდილს ვიპარავ,
შენი კაბის ფერად
ნაკეცებს,
ვინახავ დიდხანს,
კაკლის ფოთლით,
ხან ნაფტალინით....
ამ ბოლოს ისევ
დავიჩემე
ცივი ტალინი
შორი გემებით,
წვეტიანი სამრეკლოებით,
მოგონებებში
ქარვისფერი
ცა რომ გაფატრეს,
და პადრე,
პადრე,
მიპასუხე,
მეც ხომ ქურდი ვარ,
როცა ხანდახან
ჩემი სატრფოს
სუნთქვას ვიპარავ,
თუნდაც თვალებით...

2008

* * *

მკვდარი ზღვის წყალივით
გავჯერდი,
ვერ ითევზავებ,
ვერც ჩაყვინთავ,
და თუ მაინც,
თვალებს აიწვავ,
გულს დაიშაშავ,
ფილტვებსაც,
და მერე ვიჩეუბებთ,
როცა შემთხვევით
დავიბნევით
სუფრის მარილად,
იქ, სადაც წყალი არ იქნება,
ზღვა — მითუმეტეს...

2008

შემოდგომა

ჰო,
მახსოვს...
მაშინ მზის ამოსვლას ვგავდი სიმორცხვით,
როცა ტყის პირას,
ყვავილების მტვერში ვიწექით
და კალიები გვახტებოდნენ შიშველ ფეხებზე...
ახლა ასე ვარ, —
როგორც ჰემოლიზს,
ვისხამ ყვითელი ფოთლების გროვას
და შემოდგომა
შემოდის სულში...

2008

ოქროს ქვიშებთან

ამოგეხაპე, —
დღეს დატბორილი ნავივით რომ ვარ...
ჭაობის მწვანე ამოგეჭრა,
გაბზარულ მალას მივხედავდი
რაღაცნაირად...
გამოვცურავდი,
შენი ატმისფერი ატმოსფერო
თუ დამხვდებოდა
ოქროს ქვიშებთან.

2008

შემილოცე

რატომ დამიგე კაკანათი, ბადეც გაშალე,
მე არ ვარ თევზი, და არც ბელურა,
რომ დამედევნოს აფრენილზე ქარი აშარი,
ანდა ტეხურა,
ცივი ტეხურა შემომასკდეს ვერცხლის
ფარფლებზე...
მე ვარ გველგესლა, —
შემილოცე და გავხევდები.

2008

განთიადი

აბსტრაქციაა, —
სავსე მთვარე რომ კევივით დაღეჭე
და ცის კუთხეში მიაწებე,
ზღვისგან ხელმარცხნივ...
ახლა ცას ვარცხნი
ვარსკვლავების ბასრი კბილებით
და შუბლს უწითლებ...
მე კი მეგონა,
თენდებოდა...
ჩვეულებრივად...

2008

ბათუმი... ტალინი...

ჩემთან არაფერი შეცვლილა,
ვზივარ უშუქოდ და უგაზოდ...
ფანქრით მოვინიშნე ტალინი
უკვე გახუნებულ რუკაზე.

სევდა, მძივივით რომ ავისხი,
თითქმის ცივია და ბლანტია...
ჩემთან დალამუნობს შავი ზღვა,
შენთან მედიდურობს ბალტია.

ახლა ღვინობისთვის მზეა და
ლერწებს ჩამიტეხავს მინაში...
ჩემი მონატრება რა არი
შენი ნოსტალგიის წინაშე?!

ხეებს ფერადები ასხია,
მეც ამ ხეებივით დავბერდი...
შენთან ჩრდილოური სუსხია,
ჩემთან წვიმებია ხავერდის...

შენთან არაფერი შეცვლილა,
ისევ გეძახიან უნაზესს,
ნითლად გაგიხაზავს ბათუმი
უკვე გახუნებულ რუკაზე...

2008

უშენობა

მტოვებენ შენი გაცრეცილი სილუეტები,
არ ვარ თანახმა....
ბევრს ვსვამ ამ ბოლოს, ასე იცის შემოფეთება
ჭაჭის არაყმა...
ეჰ, იმ წლებიდან შემახსენე, აბა, რა დარჩა? —
კვეთა განივი...
და, ალბათ, მალე მეც მოვკვდები სადმე სარდაფში
ფიროსმანივით...

2008

მოდი, გავბედოთ

მოდი გავბედოთ, —
კიდევ ერთხელ გავიმეოროთ,
ჩვენი სულები გამოვიხმოთ სამალავიდან,
ყალბი ღიმილი ჩამოვაძროთ ფერად ირისებს...
მოდი გავბედოთ, —
ერთმანეთს შეთხელებული დღეები დავუვარცხნოთ
და ვიგრძნოთ,
როგორ მელოტდება წელიწადები
გველის და ძალლის...
სარის და ვირთხის...
და ყველაფერი შემოდგომის მზეში ბრუნდება
ჩვენი თითების მოცახცახე ორნამენტებად.
მოდი, გავბედოთ...

2008

ხურდა ფულივით

ნეონის შუქით მეგებება ჩემი ქალაქი,
ზათქით...
ღრჭიალით...
კატის კნავილი —
ამოვარდნილი სენტიმენტი ამ ყველაფრიდან —
წვიმის სადინარს ეხიზნება
და ცისკენ მიდის...
რამდენი წელი მოვაგროვე ხურდა ფულივით,
რომ მერე ერთად,
ხელუკულმა გადამეყარა
შენს არყოფნაში...

2008

ხრჩოლავს

რომ არ ვეწევი, ეს იმას ნიშნავს,
რომ გდარდობ მაინც,
გდარდობ, ოღონდ ბოლის გარეშე.
ვწრიალებ მაინც,
ოფლიანი ჩემი ბალიში
მიციებს ფილტვებს.
ზეცისკენ ვიღტვი...
ვნახულობ სიზმარს —
მინდორს დაბოლილს...
ისევ ქაბული
შავთვალნარბა ყაყაჩოებით
ხრჩოლავს,
ხრჩოლავს,
ხრჩოლავს,
ხრჩოლავს,
ხრჩოლავს და
ხრჩოლავს.

2008

სანგარში

“ვზივარ სანგარში და წვიმა მაწვიმს...”
ქარდა ქარდუხი

ცალკე ზღვაური, ცალკე ღამე... სუთთა მორფინი —
წვიმა — ეყრება დედამიწას ჟღალი ჭორფლივით.
არ ჩანს ნაპირი... შენზე ფიქრი ტალღებს მოება,
ცივა სანგარში მიტოვებულ სამრეკლოებად...
ვთრთი — ოცნებებში გარიყული თეთრი ფრეგატი.
რატომ მეგონა, ერთ ზარს მაინც ჩამოვრეკავდი,
თუნდაც განგაშის...

2008

* * *

განვედ, ჟამიერო, ტრამალები
ისეც ულმერთობით დაოსილან,
ზეცას გამოკვრია ფრთამალივით
ლრუბლის ნაცრისფერი სამოსელი.

მარტმა ამინდები აურია,
გულზე დამაბნია კამეები,
როგორ უხმაუროდ ხმაურობენ
შენი ნაჩუქარი ლამეები...

ლმერთო, რა კარგია შენ რომ მყავხარ,
ლმერთო, რა კარგია შენ რომ მყავხარ,
ლმერთო, რა კარგია შენ რომ მყავხარ,
ლმერთო...

2003

სექტემბერია

ფსევდო ფუტკრები მწიფე ყურძნის წვენით თვრებიან,
ზოლიან მუცლებს დაათრევენ მსხვილი მდედრები, —
სექტემბერია.

ჩია კაქტუსი —
სულმოუთქმელად რომ ელოდა
შვებულებიდან ჩემს დაბრუნებას —
გასუსულია.
მოცდა მოუწევს.
წყალი არ მოდის,
არც შუქია,
თან ისე მშია,
ვერაფერს ვხედავ კრაზანების მუცლების გარდა...

შენ მაინც მოდი,
გაყვითლებული შარაგზები დამაკეცინე, -
დარეკე მაინც,
გაიღვიძოს ამ ტელეფონმა,
ჩემს მაგიდაზე პითონივით რომ დაგრაგნილა.

2008

მერწმუნე, ბებო!..

შემოუხაზავს ტყისპირი შარას,
როგორც შენს ფანქარს პერანგის თარგი,
დღეს ყველაფერი იქნება კარგად,
განყდება მუმლი, ჩადგება ქარი,
ჩაცხრება ცეცხლი... დამსკდარი ქვები
წვიმის ხმაურზე დაცქვეტენ ყურებს,
და ფინჯანივით პატარა ყურე
დაბნეულ გემებს მოუტანს შვებას,
დღეს ყველაფერი იქნება კარგად,
მერწმუნე, ბებო!..

2008

ხეები

“ზოს სიმაღლე მინის ზევიდან კი არ იზომება, —
ფესვებიდან!..”

ომში ხეებიც ჯარისკაცებივით იხოცებიან,
ცეცხლის ენებით...
არ ენდობიან მატყუარა სინოპტიკოსებს,
გრძნობენ ხეები, —
ამ თვის ბოლომდე მიწას მხოლოდ სისხლი
დაალბობს, —
შვლების,
არჩვების,
დაბნეული ხოხბების სისხლი...
ინაცრებიან ცადანვდილი ასეულები,
ცოცხლად დარჩენილ ჭირისუფლებს —
ფესვებს — დარდობენ.

2008

ხომ ვარ ყარიბი, თავზეც მანვიმს, მაგრამ არ ვჩივი,
დღეს უფრო იმის შეხსენება მასევდიანებს,
რომ თურმე წლები კი არ მიდის, მიქრის ქაჯივით,
ხვალისთვის ლექსიც გაჭირდება, მერე გვიანი
იქნება დარდი, ანდა გულზე მჯიდის დაცემა...
ვზივარ კიბესთან როგორც ლეკვი, ლეკვი ნაცემი...
ოდნავ მამშვიდებს მოწყვეტილი ფოთლის ფარფატი
და ვუსმენ მთვარეს - “ბითლზის” ფირფიტას...

2008

* * *

არ გძინავს, ვატყობ...
დაჭიმული ქუთუთოების ქვეშ მოძრავი
თვალისგუგები გამხელენ,
ხან ერთ კიდეს აწყდებიან, ხან — მეორეს,
ხან წრეები ელანდებათ,
ხან — სამკუთხედები,
შავიდან თეთრში გადადიან,
თეთრიდან — ლურჯში...
შეგიძლია თვალდახუჭული მენდო, —
მხედავ ისედაც...

2008

მოპირდაპირე სახლის სახურავიდან

ვესტერნივით ლამეა.
ჩრდილოეთიდან მოფრენილი მოჩვენება
ფანჯრებს მიორთქლავს
და წამახული ფრჩხილებით შემოხაზულ წრენირებში
ერთადერთი რიცხვი — 16 — გამოჰყავს,
რაც იმას ნიშნავს,
რომ თექვსმეტ წლამდე ბავშვებისთვის აკრძალულია.
თინეიჯერებს რა გამორჩებათ?
მოპირდაპირე სახლის სახურავზე სხედან
და მითვალთვალებენ,
აინტერესებთ,
როგორ ვიკეთებ საკუთარი ხელით საკეისროს,
რისთვისაც სულ რამდენიმე იარაღი მჭირდება:
თითქმის განახევრებული ფანქარი,
(ცხადია, არასტერილური),
ერთი დაჭმუჭნილი ფურცელი
და სიგარეტი, ადგილობრივი ანესთეზიისთვის.
ფანქრის მსუბუქად დაჭერისთანავე
ელვასავით იხსნება კენჩხის კბილანები,
მთავარია, საჭირო წერტილი იპოვო.
სერპანტინივით დაგრაგნილი ნაცრისფერი სხეული
ფეთქავს,
ვითომ გულმკერდი გამეგლიჯოს.
ვესტერნივით ლამეა.
ადგილობრივ ანესთეზიას ვიკეთებ და ვგრძნობ,
როგორ ისხამს
ნაცრისფერ სხეულში ჩარგული ფანქარი
დაჭმუჭნილ ფურცელს,
რომელზეც ჩემი ახლადმოვლენილი პირმშო
პირველი ჩასუნთქვისთვის ემზადება.

ესეც შენი ასლია, —
ჯერ არ დაბადებულა და
თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ო, — გაჰკივის.
ვესტერნივით ლამეა.
თინეიჯერები ჯერაც სახურავზე სხედან
და მითვალთვალებენ.
მათ არ შურთ მაინც
ლამეში გადახსნილი...
ფარდების.

2008

წყაროსთან ახლოს

რამდენი მწერი შემოფრენილა,
თავისით იხოცებიან,
გული უსკდებათ...
ადრე ჩარგული კალანჭოეც მოწყენილია...
ვერ გავახარე ყვავილები,
და ვერც ვერავინ...
ბავშვების ურიამულს ისხლეტენ
ორმაგი ფანჯრები,
მარადიულ მზეებს ჰგვანან პატარები, —
სულ ანათებენ.
მე კოკას ვგავარ,
რაც შიგან დგას,
იგივე რომ წარმოსდინდების.
არცა რა მსგავსი...
მე კოკას ვგავარ,
მთლად ცარიელს,
ძირისძირამდე...
რომ დავიმსხვრევი,
ნეტა სადმე,
წყაროსთან ახლოს...

2008

ილუზია

არაფერი მწყინს
დაცვენილი ფოთლების მწკრივში,
ოდნავ გადახრილ მზეში...
ტროტუარებზე მოსეირნე ფიტულებში
ვარდის სურნელით...
სადღაც გავცივდი,
მოულოდნელად გაბზარულ სარკეში
საკუთარი თავი გავიმეორე
ლამურასავით...
შავი კვადრატის სიჩუმეში შეყუულმა,
არ ვჩანვარ-მეთქი, ვიფიქრე,
აქ კი თურმე
რა ხანია დაგეშილი ძალლებით მეძებენ,
ვინ არიან, თუ იცი?....
საიდან მოვიდნენ?!.

2008

იაპონური ჩანახატი

დამათრო საკემ, შარაგზები როგორც გველები
დაძვრებიან და... მირჩევნია ადრე დაღამდეს;
ვფურცლავ ბასიოს ნება-ნება, სვენებ-სვენებით,
ზღვა ღელავს, ღელავს ტოკიოდან ნაგასაკამდე,
და იმის იქით, სადაც წყალი უფრო მქისე და
შემცივნებული ფუძიამას ჩრდილის მსგავსია...
დამათრო საკემ... ვიცი, სათქმელს ხვდები ისედაც,
მე ვღელავ,
ვღელავ,
ზღვა კი მშვიდად ფურცლავს ბასიოს.

2008

ლია კაფეში

პადრი თევზაძეს

რად უნდა იყოს მოწყენილი პოეტი კაცი,
ისიც პარიზში, შანზელიზეზე?
ხედავ, მისტრალი ბებერ ხეებს ყვავილებს აცლის, -
აი, მიზეზი...

ან, იქნებ, სულაც, პეიზაჟი სასტუმრო “ნიცის”,
მაღალი სიცხე, ხელის კანკალი...
ხიდქვეშ არ მოვა არასოდეს, სულში რომ იცის,
ის ხოშკაკალი.

არც წვიმა მოვა, მითუმეტეს დახეულ ხამლით.
ხილვა: ბათუმი... სველი აფიშა...
- გაცივდა ყავა... ნუთუ მართლა მალარმეს თარგმნით
ლია კაფეში?!.

2008

კადრი

ფოტოკადრივით რომ მომიახლოვე, რა გამოვიდა?
წვრილ კვადრატებად დავიშალე...
თითოეულში —
შტორმი,
ეკალი,
ყინვა,
ტყვიები,
ობი,
მირაჟი,
ცრემლი,
სანთელი...
დროზე გადამიღე,
თორემ სამუდამოდ დაფრთხები
და შენს ხორბლისფერ ჭორფლებს
ჩემი ფასკუნჯები აკენკავენ.

2008

**“სააშიკო-სალალობო” ლექსი
მენდელეევის ტაბულის ელემენტებით**

შენი ნაკლებობა იწვევს:
იოდდეფიციტს,
სისხლძარღვების გათხელებას,
ძვლების სიმყიფეს,
მუავე-ტუტის ბალანსის დარღვევას,
ნერვული ქსოვილების ციებას,
სისხლის ნარმოქმნის შეფერხებას,
გლუკოზის დონის დაცემას,
კანის ჭკნობას, ანუ სიბერეს...
მოკლედ, შენ ჩემი იოდი ხარ,
კალციუმი, კალიუმი და ნატრიუმი ხარ,
მაგნიუმი, რკინა და ქრომი ხარ,
სელენი და სელენა ხარ,
თუთია და თათია ხარ და
ნუ წახვალ და ნუ იზამ, თორემ
მოვკვდები.

2008

თხოვნა ტყისადმი

ქარმა ტევრამდე მდია,
გამაგლებინა სირჩა,
ტყე ჩემი ძუძუმტეა
და ცუდს არაფერს მირჩევს.
პოეტს, და თანაც ყარიბს,
ტყე ამიტაცებს ცამდე...
ერთ დროს დავდევდი ქარებს,
ახლა კი ქარი დამდევს,
ამიტომ ვთხოვო მინდა
ამ ტყეს — ძუძუმტეს ჩემსას,
იქნებ, დამტოვოს ცაზე,
სადმე ღრუბელზე შემსვას.

2008

კარდიოგრამა

კავკასიონის მწვერვალებს მიუყვება
ჩემი გულის კარდიოგრამა.
რამდენიმე ამოვარდნა მაქვს —
უშბა,
თეთნულდი,
მყინვარწვერი;
იშემის ნიშნები —
როკი და საკენი,
წლების წინ ნაინფარქტალი — იალბუზი.

მინდვრის ზამბახი ვარ;
მეც მიყვარხარ,
მაგრამ შენი ფეხის ხმა
მიხშირებს მაჯისცემას.
ნუ მომწყვეტ,
ხომ ხედავ,
შენს ლარნაკს
ნაფოტად არ ვეყოფი...

2008

ჩოხში

გოდერძის

დავრჩი წვიმების ამარა,
თითქოს ჰაერი არ მყოფნის,
ჯერ ყოფნის სევდა რა არი,
მერე კი სევდა არყოფნის...

გულის კლინიკის ვერანდა,
სისხლი და... სუნი ქაფურის...
ლამაზ სტრიქონებს გირანდავ,
თანაც ბეღურებს ვაპურებ.

2008

კედლები

მონატრებას ვაგროვებ,
ბევრი მონატრება მინდა მქონდეს,
ათი ათასი, როგორც ძველად იტყოდნენ.
არაუშავს?
არვიცი...
ჩვენთან ყველაფერი დაბლოკეს:
მაილ.რუ,
რამბლერ.რუ,
ფოსტა.ჯი...
ალბათ, მალე ჩვენს შორისაც
ბლოკების კედელს აღმართავენ,
იმდაგვარს,
შუაგულ ბერლინში რომ იყო,
ჩვენ კიდევ კედელ-კედელ ვივლით
და ერთმანეთის სახელებს ვიყვირებთ...

2008

თორმეტივე საათის მიმართულებით

სდექ!

ციცინათელებივით როდი ანათებენ
ეკლიანი მავთულები,
არც საკვნეტის გარეშე იჭრებიან.
ახლოს თუ მოხვალ, დარწმუნდები,
რომ არ არსებობენ უხილავი თოკები,
ბენვის ხიდები და აბრეშუმის ძაფები, —
ისინი დაწვეს.

მერე სავსე მთვარე ჭიპლარით დაიჭირეს
და დედამინას გამოაბეს,
რათა უკანასკნელი ომის დაწყებამდე
სატელიტზე გახსნილი სისხლის ბანკი
წითელი ყინულებით გადაივსოს.

სდექ!

ყველა მინდორი დანაღმულია
და ფერდობზე შეფენილ ყველა წიფელს
შაჰიდის ქამარი არტყია
და უჰაერო მღვიმებში ჩადიან
აირწინალებით აღჭურვილი ყვავილები.

სდექ!

რადგან ყველა საზღვარი პირობითია
და ჩვენი ჩრდილებიც
გადახრილი ანტენების ჩრდილებივით
პირობითად კვეთენ ერთმანეთს
უკანასკნელ ომში,
სადაც აუღებელი ციხესიმაგრები,
ფესვგადგმული ლოდსატყორცნები
და მოსიარულე გვამები
ირწევიან.

სდექ!

გამომშრალ კანში ყვითელი ტალახი შეიზილე
და წაჭრილი თითები ცარიელ მჭიდში ჩატენე.
მოიძიე მტერი — საკუთარი თავი
და ერთადერთი თითი — საჩვენებელი —
ჩახმახს გამოჰკარი
ცისკენ!..

სდექ!

წინ სამხედრო პოლიგონია
და გენერლის ფორმაში ჩაცმული ფიტულები
გადამფრენ ფრინველებს შესცერიან,
ვიდრე უკანასკნელი ომი დაიწყება
და მე და შენ ამ ომში წავალთ.

სდექ!

გუშინ ეკლიანი მავთულები გავიხადე
და გაფოთლილი ხეები ჩავიცვი
და ტყე-ტყე ბილიკ-ბილიკ ვიარე
და ვიცი, რომ
პირველი საათის მიმართულებით,
ორი საათის მიმართულებით,
სამი საათის მიმართულებით,
და თორმეტივე საათის მიმართულებით
ჩასაფრებაა,
და ჩასაფრება მურტალია,
და ჩვენ მაინც წავალთ
და საზღვართან დავლევთ
წყალს,
წყალს თუ არა — სისხლს,
სისხლს თუ არა — ღვინოს!

2008

* * *

ცახცაახებს მთვარის ათინათი, მტკვარზე ტივია,
დღეს შენს თვალებში სხვანაირი სინოტივეა.

წლები მკორტნიან, ძველებურად სტვენენ ჩიტები,
დგანან ვერხვები — ბავშვებივით მიამიტები,

ხან შრიალებენ, ხან შხაპუნა წვიმებს უსმენენ,
მე კი... ტალღები, დარიშხანი, თოკი, ლურსმანი...

ანდა ბლოკნოტში ჩარჩენილი ძველი “ნივეა”...
დღეს შენს თვალებში სხვანაირი სინოტივეა...

2008

მთაწმინდაზე

თეოზულდი გონიტაშვილს

იმ წუთას,
იმ წამს,
ვარდისფერი მოსაცდელის გასწვრივ,
ცაცხვის ყვავილების გასწვრივ
შხაპუნა წვიმა წამოვიდა
და სადაფის ასვალტზე ბალერინასავით აცეკვდა.
მზემ რომ გამოაჭყიტა,
დალლილმა ზეცამ შუბლი შვიდფერი
ცისარტყელით შეიხვია
და მთაწმინდის ფერდობს მიეყრდნო.

მარჯანიშვილის საფლავზე,
შავი მარმარილოს სცენაზე,
შავი შაშვი დადიოდა
და ნაწვიმარ ხალიჩას
დეზდემონას ცხვირსახოცივით ჭმუჭნიდა.
თქვენც იქ იდექით,
განუწული თაიგულით ხელში,
საოცარი სათნოებით — მზერაში...

2008

ამინდის პროგნოზი

შენთან პლუს თერთმეტია
და წვიმს...
ჩემთან როგორაა იცი? —
დაბლობში პლუს ოცი,
მთაში — პლუს თოთხმეტი,
მაღალ მთაში — პლუს ათი...
მერე?
მერე ღრუბლებია,
სადღაც მე —
ნოლი მთელი, ნოლ, ნოლ, ნოლ, ნოლ... ერთი,
სულ მაღლა — პლუს უსასრულობა.
შენთან თერთმეტია
და წვიმს...

2008

რეისი “-----:თბილისი”

შენ პირველივე რეისით ჩამოფრინდები,
ეტყვი, რომ ნოსტალგია გტანჯავს,
სხვა.

გრძელყელიან სვიტერს ჩაიცვამ,
ყავისფერ მანტოს მოიხურავ,
ტაქსიი, — იყვირებ.

რეჯო დი კალაბრიას გადმოიფრენ,
თეთრი გემებით გადავსებულ მარმარილოს,
სიზმრებში ჩარჩენილ ტაოს...

მნახავ და ინანებ:

პირველი —
საფრენი ამინდების ნაკლებობას,
მეორე —
ილუმინატორების სისქეს...

2008

როგორც კინოში

ასე არ ხდება,
როგორც კინოში, —
შენ პეპლის ფრთები გამოისხა,
ან ანგელოზის,
მე ჩემ გემოზე გამოგდიო
სულის ფარფატით...
ჯერ ფრთხილად უნდა მივაყუდოთ
ჩვენი ულელი
სადმე, ჭიშკართან...

2008

მესიჯი ტყიდან

მიყურებს ხენდრო,
ჩემს გრძნობებზე უფრო ველური,
მიყურებს თეთრი ყვავილებით
და სავსე მკერდით...
ამ სისხამ დილით
მაქვს სურვილი,
თან მხოლოდ ერთი...
ვაგლახ, ამ სურვილს არც კარი აქვს,
არც სახელური.
და მაინც გეტყვი —
რაც არ უნდა მწვავდეს,
მტკიოდეს,
მინდა ეს ხენდრო
გულიდანაც ამომდიოდეს.

24.04.2008
7:00, ტყე...

პასეანსი

ჰარიბი,
ვარდისფერი ფლამენგოები
რომ ვარდისფერ მარგალიტებს კენკავენ,
იქ მოვალ,
მზის გულზე დაგსვამ,
ზოლიან ბარხანებს მოგისწორებ,
რათა შენი ნაჩუქარი კარტით გიმკითხაო.
ჰარიბიიი,
აგურები დამიფშვნეს,
გულები ამომაჭრეს,
ჯვრები დამიმსხვრიეს,
ამიტომ ოცდათექვსმეტი ყვავი შეგაფრინდება
დაბუშტულ თვალებზე
და დაარწყულე...
მე ფეხმძიმე ქალივით გავიდრიკები,
ოაზისს ვიპოვი,
ვარდისფერ მარგალიტებს ვიმშობიარებ
და ვარდისფერ ფლამენგოებს გადავუყრი.

2008

ავტოტომია

წარამარა რომ თავს ისახიჩრებ,
რისი ბრალია?
ნუთუ ასე გაფრთხობენ მტრები?

სწორედ იმგვარად,
შენ რომ წარსულ დღეებს იშორებ,
შეშინებული ხვლიკი იძრობს კუდს
და გაურბის
სიცხეს,
მდევარს და
საკუთარი ჩრდილის ნახევარს.

2008

როცა გაზაფხულდება,
სამხამა წამწამებით შემოღობილ თვალებს
სასხასა მწვანით დაგიფერავ,
ნუშებს და ტყემლებს ჩაგაცმევ,
მერცხლებს აგადევნებ,
ჩაჭყლეტილ ნიკაპს წვიმის წყლით გაგივსებ
და დავლევ...

როცა გაზაფხულდება...

2008

მიტოვებული სულების სეზონი

ჩვენთან წვიმების სეზონია,
ჩამორეცხილი სასაფლაოების,
მიტოვებული სულების
სეზონი.

იერუსალიმიდან რომ ცეცხლს წამოიღებენ,
საბავშვო ოთახში რომ ფეხაკრეფით შევლენ,
მთვრალ პეპლებს რომ მიეპარებიან,
ისე გინახავ...
გულიდან თვალებზე გიბნევ
და დავდივარ.

2008

ამ გზას რა გალევს,
არც შემოკლდება არასოდეს,
არც დაგრძელდება.
შენ სადმე ჩრდილქვეშ მილოდინე,
ანდა ხერხემალს გამოჰყევი ლიანდაგივით,
მეცხრე მალასთან დაისვენე,
კუზთან,
რომელიც უშენობის წლებმა მაჩუქეს.

2008

გადასასვლელი მეორე ხაზზე

პირველ ხაზზე,
მატარებლის ვაგონებში ვცხოვრობ.
დროს ვკლავ,
ყოველდღე სისხლიან დუელში ვიწვევ...
დროს ნაგანი აქვს,
ჩახმახს გამოკრავს,
მეორე ხაზზე გადამიყვანს.

2008

აჩრდილები

სანდახან ხდება, —
სულის ნაწიბურებს ვისწორებ,
ტყვიის კვამლს ვისრუტავ
და ვხრჩოლავ.

ვხედავ:

ჩემს ქალაქში მოკლულთა აჩრდილები დადიან,
ერთმანეთს ეჩურჩულებიან და
აყვავებულ მიმოზებს აფრთხობენ...
ოქროსფერ მტვერს აცემინებენ მშიშარა მიმოზები,
მდუმარე ზვირთსაქცევებს შესცქერიან და უკვირთ,
ქუჩები რომ ცარიელია,
ყავის სუნი რომ არ დგას,
ზღვამ რომ თავისთავში დაიხია...

მოკლულთა აჩრდილებს ვერ ხედავენ მიმოზები,
ჩემსავით არიან, —
უკვირთ...

2008

* * *

არც ისე ცხელა,
მე უბრალოდ მარტმა გამღელა,
რატომ მეგონა დაასწრებდი,
რატომ მეგონა?
რატომ მეგონა მომიტანდი
ყვითელ ბაიებს
და ბნელ ლამეებს
საყდარივით გამინათებდი?
სულაც არ ცხელა,
დღეს უბრალოდ მარტმა გამღელა,
ხომ იცი მარტი?..

2008

მარტი

ნაზამთრალი ხეების სევდა

მიდი და უთხარიო,
ბორიო მეუბნება,
ამის თქმას რა უნდაო?
(რა იცის ქარაშოტმა?
იქნებ ეს ფინალია
და ბოლო რაუნდია?..)

ვღელავ და უფსკრულია,
როგორლაც მაბოდებს და
როგორლაც მეძნელები,
ლობიდან მოძვრებიან,
დოქიდან გადმოდიან
თავმძიმე ენძელები.

მარტია შეპრეკილი,
ბუხარში ცეცხლია და
ჭაობში მყვარებია,
მიყვარხარ, ფუნიქსო, და
შენს გარდა არასოდეს
არავინ მყვარებია.

2008

გაზაფხულის ტრუბადურები

...და ისევ შეხ

სად ხარ აქამდე? დავიღალე გზისკენ ყურებით,
სტვენენ ჩიტები — გაზაფხულის ტრუბადურები;
თხელი თუნუქის ფურცლებიდან საკენკას კენკავენ,
მე კი ოთახში ჩემი სევდა დამყავს ხელკავით...
ზოგჯერ პირიქით, მას დავყავარ, თან ეს ტანდემი
სულ ავადმყოფობს, როცა დიდხანს გაგვიანდება.
ხომ არ მოხვედი?.. დავიღალე ჭიშკრის ყურებით,
სტვენენ ჩიტები — გაზაფხულის ტრუბადურები.

2008

თავშესაფარი

თითის ანაბეჭდებით მოვდივარ,
მზეზე გავლებული ქორდებით,
ცალხაზიანი რვეულით,
რომელმიც ნერვიული ასოები გამომყავს;
შეგრძნების რეცეპტორებით მივარღვევ სიბნელეს
და მოკირნყლული ძარღვების ლაბირინთში
თავბრუდამხვევია
შენი “არა გვიანი” სისხლის ჩქროლა
“გედის ყელისკენ”,
“ნუკრის თვალებისკენ”,
“ვარდის ფურცლებისკენ”...
სათამაშოების მაღაზიასთან ვდგავარ,
მტირალა ვიტრინებს ვათვალიერებ,
წვიმს და თავშესაფარს ვეძებ...
წვიმს და მახსენდება,
რომ შენი გული საუკეთესო თავშესაფარია,
რომ შენი გული რომია
და ყველა გზა რომში მიდის,
რომ შენი გული რომია
და მეშინია გზა არ ამებნეს.

2008

გადახრილი ლექსი

საცაა ქარი ამოვარდება
და ყველაფერს შენკენ გადახრის:
ხეებს,
შუქურებს,
ფიფქებს,
ლოლუებს...
უნიჩონ ნავად მაქცევს და
წვეტიან ქიმებს შემალენავს...
მერე იტყვიან:
გადახრები ჰქონდაო ამ პოეტს,
შენკენ გადახრები.

მე ჩაგიდგები მორცხვი ლამპიონების მწკრივში,
ფრთაშეჭრილი ქარების მწკრივში
და წათლილი ლოლოებით
ჩამავალ მზეებს დაგიხატავ.

2008

ფუნიქსა

ფუნიქს, პარიზში ვარ,
სენის ნაპირებთან ვთევზაობ,
პონტ-მარის ხიდქვეშ ვატივტივებ სევდიან თვალებს...
ამღვრეული მორევი აქვს სენას,
ცუდად დალეული ყავის ლექივით,
მოწიაქე თოლიებს მახვედრებს,
მკბენარა მწერებს...
სალამოს ორ დიდ პროჟექტორს
კელაპტრებივით იმარჯვებს და
ხიდზე დაყუდებულ შეყვარებულებს ლოცავს.

“L’attention! L’attention!..” —
ვაგზლის ხმაური მაფხიზლებს.
ვიცი, რომ ვერასოდეს შემიყვარებ...
და მაინც,
რა კარგია, რომ გვცივა
და შეგვიძლია ერთმანეთს ჩავეხუტოთ.

2008

* * *

ჩემი ბავშვობა ყოველ დილით
ამ ბოგირზე გადადის
და სულსწრაფ მდინარეში
ლიფსიტების დაჭერას ცდილობს;
ახლა ის ქრისტეზე ცოტათი უფროსია,
ლაუვარდისფერ ტალღებს მიაპობს
და ცურვისგან დაღლილს
ბადეში ჰყავს უშველებელი თევზი —
სახელად “სინანული”.

2008

გვირილები

მაისში ხომ ჩამოხვალ?
ამ დროს წელამდე მწვდებიან
ყვითელგულა გვირილები,
თაბახისოდენა ფურცლები აქვთ,
სანდახან შენს სახელს ვაწერ ხოლმე ფურცლებს,
მერე პირალმა ვწვები,
ფუმფულა ღრუბლებს შევცქერი
და წარმოვიდგენ, რომ მოხვედი...
რომ ამ სეზონზე
ქარის გარეშეც დაიმტვერა
ჩვენი გადამკიდე გვირილები...

2008

მოსაცდელში

წვიმის მოსაცდელს მარტის ბოლო შეჰვარებია,
მთლად გალუმპული, —
მოდიხარ,
თმაში ხავერდით და ხელში სუმბულით...
და უჩვეულოდ დიდხანს,
დიდხანს ვდგავართ უბრები...
შენც მარტს მაგონებ,
ხან შუბლს იხსნი,
ხან იქუფრები...

2008

ფობია

წვიმის ფარდების გადაწევის მეშინია
(ძველი სახეა, პოეტური...)

რაღაც “ფობია” მჭირს:

ზღვაზე ვერ ვბანაობ,
აკვარიუმთან ვერ მივდივარ,
შადრევნებს ვუფრთხი...
ეგ არაფერი, —
სველ თვალებში ვეღარ გიცქერი, —
მგონი გავცოფდი...

2008

ზვირთსაქცევი

რგოლი...
შებოჭილი არათითი...
მგონი
სულ ტყუილად გავისარჯე, —
ქვიშას დავახატე სტალაქტიტით
ჩემი შარუი...

ახლა
რომ ვუყურებ ზვირთსაქცევებს —
ზღვაში ჩაწყობილან კლავიშები...
წავალ,
დავთვრები და მიქცევისას
ანდა
მოქცევისას წავიშლები.

2008

* * *

ადესის მზეჩანაულ მტევნებს ვიგონებ,
მუხის კასრზე შემოდგმულ საჭყლეტს,
საწყალ ბიძაჩემს,
მტკივანი ფეხით და სევდიანი თვალებით...

(ახლა იმ სახლში,
მარცხენა კედელი რომ
რუსულმა „გრადმა“ მოუნგრია,
სხვები ცხოვრობენ...)

მახსოვს, სამფეხა სკამზე ვდგებოდი,
„ჯადოსნურ“ კასრში რომ ცალი თვალით ჩამეხედა.
ნელ-ნელა დუღდებოდა კასრის შიგთავსი —
ერთი დღე,
ორი დღე,
სამი დღე,
ბევრი დღე...
მე კი ერთი სული მქონდა,
როდის ააცლიდნენ ბრტყელფერდიან ქვებს
(მათ ყოველთვის ქოშინით მივათრევდი),
მერე ხის თავსახურს,
რათა ჩემი სამფეხა სკამი
ხელახლა მიმეჩოჩებინა კასრთან,
საიდანაც ორმაგი ცელოიდის აძრობისთანავე
ჯინივით ამოვარდებოდა ხოლმე
ქაფმოდებული ჭაჭის
სპირტნარევი სუნი
და ნესტოებს მიგანიერებდა.
ჩემს ხასიათს ასდის ახლა ასეთი სუნი...

2007

ანეტ

სახლში ჰაერი არ კმარის,
დაბლა რძისფერი ავზია
და, ვით ეს ავზი მარმარის,
მთვარეც პირთამდე სავსეა.
(რა ძველი შანსონეტია —
„ო, ანეტ, მე შენს გარეშე...“)
ავზში აჯობებს, ნეტა, თუ
იმ გადავსებულ მთვარეში?

2006

მეგობრებს

წიკ-წიკ, წამზომი მიირწევა, მიიკაწრება,
მიდის ცხოვრება ზარის გორებით,
ისევ მხიბლავენ ეს ტაძრები
და ეს გორები...

სველი ბაქანი... რონოდები... ალბათ, ფოთიდან...
(ქარდა მახსენებს თუ ქავთარია?)
აჲ, სულისკნელში რა შფოთი და
რა ავდარია...

2006

ჩემი თვალები

ოღონდ ნუ მეტყვი,
პეტერბურგის ლამეებს მაგონებენო შენი თვალები,
ნურც ძველ შუქურას შემადარებ, მინებშელენილს,
თეთრი წეროების საბუდარს.

გამოქვაბულში ხარირემს მიახატეს ჩემი თვალები
ნეანდერტალელებმა.

„რად იცრემლებიანო?“ — მეკითხები.
სინესტეს დააბრალე,
მხოლოდ სინესტეს.

2007

ჭა

სევდა მოიკიდებს ქაფს,
ძალლი უცნაურად ყეფს,
ვტოვებ ბიჭვინთას და ფშაფს,
ვტოვებ ბედიას და რეფს...

სახლი ნახატივით ჩანს,
ქარი უბერავს და წვიმს, —
ფოთლით გაივსება ჭა,
სარქველს ნუ გადახდით გვიმს...

2008

სადათის მთვარე

ზეცა, თვითმფრინავებმა რომ ტორტივით დაგვიჭრეს,
მოფარებულში მივირთვით,
მოპარულივით.

და როცა შარვალზე აწყვეტილი ღილის ნაცვლად
სადათის მთვარე დამაკერე,
მეშვიდე ნაჭერზე გადავედი...

2007

დაცული ტერიტორიები

ჩვენ დაცული ტერიტორიები ვართ —
შენ — სერენგეტის პარკი,
მე — ვაშლოვანის ნაკრძალი.
შენში უძირო ტბებია
და თვალუწვდენელი სიმაღლიდან
ვერცხლისფერი ჩანჩქერები ცვივიან,
ჩემში ხვატია, მზით გაჯერებული.
შენში კუბოკრული უირაფები სეირნობენ
და ნაშიან ფოთლებს წიწკნიან,
ჩემში ზოლიანი ასპიტები სისინებენ...
სანდახან
დამთხვეული ექსტრემალები გვსტუმრობენ,
ბაგირებს ხლართავენ დენის მავთულივით,
ხეებზე გვალურსმავენ...
ზოგჯერ ბრაკონიერებიც მოდიან,
მსხვილ-მსხვილ ტყვიებს გვახლიან
და თავნება შვილებს გვიხოცავენ.
ბევრად ცუდია,
როცა მოწამლული ნემსებით გვაძინებენ
და გალიებით გადავყავართ ცნობილ ზოოპარკებში.
ხშირად ჩამოდიან მილეთის ტურისტები,
ნაირგვარი ტრანსპორტით გვამტვერებენ
და მაიმუნებივით გვეჭყანებიან.
ნაბახუსევზე შუა ტყემი კოცონებს გვინთებენ,
მეორე დღეს კი მასმედიით გაჰკივიან:
მოულოდნელად გადაიწვაო სერენგეტის პარკი...
აბა, მე რა გადამწვავს?
ისედაც მარიამობის ღამესავით ვბრიალებ.
დაცული ტერიტორიები ვართ მე და შენ, —
მხოლოდ ერთმანეთისგან დაცული.

2007

მთვარე

ვივსები-მეთქი ვიფიქრე და
დაგვალულ რუსავით გავმეჩერდი, —
საცაა გავშრე.

მთვარე რას მიზამს?
მოშვებულ ნერვებს დამიჭიმავს,
ჩრდილებად დამშლის...

2007

ტაბუ

ლ-6

ტაბუ დავადე ყველაფერს —
შენს გაღელილ პერანგს და
მამაკაცის სუნამოს...
ახლა იმ სიგარეტის კოლოფს ვგავარ,
ბოლო ღერი რომ სულივით ამოაცალე
და წვიმიან ძელსკამზე დატოვე.

2007

ჩილიმი

როგორ მიცნობდი?! —
იმდენი ვარსკვლავი დავთვალე,
ხორკლებად ვიქეცი.
ნიღბებს არ ვატარებ, —
შავი დამეწვა,
უღალი არ მიხდება.
“პეჟო” ვიყიდე, —
სამი ზეტი და სამი რვიანი,
დაბოლილზე ვერ ვმართავ.
დაბოლებით თურქულ კაფეში ვბოლდები,
სამ ნაფაზში მინანქრიანი ჩილიმი
ალადინის ლამპარი მგონია,
ხოლო რეზინის მილიდან გამომძვრალი კვამლი —
კეთილი ჯინი,
რომელსაც ყოველთვის ერთი და იგივე
სურვილს ვუმხელ:
შაქარყინულად მაქციოს
და შენი სახლის წინ დამაპნიოს, —
დამშეული ჭიანჭველები წამიღებენ.

2007

ტყეში

უცნობ მხატვარს

აქ რა ვაკეთო?

ბადურები ისედაც გაცრეცილ პერგამენტს მიგავს,
მხედველობა — ინტიმური ოთახის განათებას,
სადაც შენ ფერად პენუარებს იუთოებ.
რა ხანია მხოლოდ სიზმრებში ვცოდავ,
კვირაობით ვირტუალურ ცოდვებს ვინანიებ...

მოდი, შენს ნახატში შევიყუჟები,
თივის ბულული ვიქნები,
ან წიწვის სურნელით გაჟღენთილი სუფთა ჰაერი.

ტყეს დარაბები არა აქვს,
სამფეხა მოლბერტგზე სუროს დაგიხლართავს,
დარჩიო, — გეტყვის...

2007

ბეჭდები

როგორ ცახცახებ...
მთვარის ჭიქაში გაძრული ვარსკვლავი დალიე,
იქნებ გიშველოს.
თითებს რომ იმტვრევ,
ნაკიან წელიწადს ატკაცუნებ.
ვერ ატყობ, ბეჭდები გიჭერს —
შეკვეთილი ბეჭდები...
მალე ეგ რგოლები
შემოდგომის ფოთლებივით გაგცვივა
და შენს ნარინჯისფერ თითებს
მდუღარე ვენებზე დამილაგებ.

2007

ჩემი ანდერძი

/გუშინ დავასაფლავე დედა/

აი,

შენი სურნელი მომწვდა, დედა,
მწუხარე მაგნოლიის სურნელში აღრეული...

(აქ რაღაც გამომრჩა — ერთი ამოსუნთქვა —
სუთნამიანი:

-

-

-

-

-)

ისიც ხომ შენი კაბა იყო, დედა,
შრიალა აბრეშუმი
ფართე გვირილებით?..
ნამდვილად შენი თმები იყო, დედა,
ღია წაბლისფერი,
სოხუმის წვიმებით დავარცხნილი,
რადგან ქოლგა არ გიყვარდა,
ვერაფრით გაერითმე ქოლგას...

ვაიმე,
ვკვდები, მე მგონი, დედა,
და ვიბარებ:

“იქ,
იქ წამიღეთ,
დედაჩემის მწუხარე საფლავთან,

მწუხარე მაგნოლიის გვერდით დამაწვინეთ, —
კიდესთან...

საოჯახო ალბომშიც წიბოსკენ ჩამაკარით,
ქვემოთ,
მარცხენა მხარეს,
ჰო, უფრო მარცხნივ,
მთვარის ერთი ფაზის დადებაზე”.

2007

მაილზე მოგწერე

კომპიუტერის მონიტორივით ვისვენებ,
როცა შენი თვალები ჩემს თვალებში სხდებიან,
მაგრამ ეს ძალზედ იშვიათად ხდება,
ანუ იშვიათად ვისვენებ.
დილით დაკოურილ ფეხებს ვიტკიებ
და იმავე ფეხსაცმლით,
რომელმაც ეს კოურები გამიჩინა,
მოცახცახე ხიდისკენ მივდივარ.
ეს ხიდი რა ხანია ცახცახებს
ლითონის ბაგირებით,
დამსკდარი ასფალტით,
მორყეული რიკულებით...
ჩემსავით ცახცახებს:
ქარის ეშინია,
ყინვის ეშინია,
ხვატის ეშინია...
ეს ხიდი რომ არა,
სხვა გზებით ვივლიდი
სხვა ხმების ამყოლი
და ვეღარც გნახავდი.
და მაშინ საერთოდ რა დამასვენებდა?!

იცი, ჩვენს ქუჩაზეც ბილბორდი დაკიდეს, —
“მაგთი” და კალაძე.

ადრე ამ ადგილას ტროლეიბუსები ისვენებდნენ,
შოფრები აფსამდნენ უკანა საბურავებს.
ხუმრობა ხომ არ არის?

რამხელა მანძილია აქედან თავისუფლებამდე,
რამდენი გაჩერება...
მერე ტროლეიბუსები ჯართში ჩააბარეს,

ახლა მათ ნაცვლად
ჰოლანდიური ავტობუსები დადიან
ევროპის მოედნისკენ.
შოფრებს ეჯავრებათ შარდისფერი ჰალსტუხები;
ითმენენ,
ითმენენ,
ბოლო გაჩერებამდე,
“მაგთის” ბილბორდამდე,
იციან,
ნამდვილად ღირს ლოდინი
ორი გემრიელი ამოსუნთქვისთვის:
ერთხელ — ჰალტუხის შეხსნისას,
მეორედ — შარვლის ღილების.
რა ქნან?
ევროპის მოედანი კიდევ უფრო შორსაა,
ვიდრე თავისუფლების.

და ამასობაში
შენ სად ხარ ვინ იცის?
ოკეანის პირას,
სადმე ლისაბონში,
თუ უფრო სამხრეთით?..
მაილზე მოგწერე,
გუშინაც მოგწერე:
კომპიუტერის მონიტორივით ვისვენებ-მეთქი,
როცა შენი თვალები ჩემს თვალებში სხდებიან...
ჩამოდი,
დამასვენე.

2007

არიშა

რა მახსოვს? —
ჭურვები...
ჭრილობა...
ჭორომი...
დარდს — ცრემლი,
ცრემლს — დარდი,
ომს — ჭორი,
ჭორს — ომი
მოჰყვება უცილოდ.
(ვინ აცხობს ტკბილეულს?
ფქვილი და მაწონი და კვერცხი უცილოდ.)
სალამოს, ცხადია, შემოვა არიშა
და შაქრის გარეშე
ჩაარაბიკდება:
— ყოფილხარ ჩაიში?
— კი, პლანტაციებში...
— ორია ცაიში,
ერთია ჩინეთში, მეორე აქ არი.
ავანთე სანთელი,
და მაინც ბნელა და
ვერ ვნახე ფანქარი.
სანაცვლოდ ამ კუთხეს მინათებს გოეთე,
იმ კუთხეს — გრანელი,
სხვას — რაბინდრანათი...
მაშ, რა ბინდს, რა ნათელს
დავეძებ აქამდე?!
აჲ, გუშინ სიზმარში
ის ქალი მოვიდა,
გამაძრო მოვი და
დაკიდა წავი და
წავიდა...

2007

* * *

შენ ზიხარ ნერვიული, ყავა და კონიაკი...
არა ვარ ეჭვიანი, გავყურებ მებადურებს
და მაინც მგონია, რომ (არ ვიცი, მგონია კი?!.)
ზღვაური მოფრინდა და თბილ ხელებს გიფათურებს.

და ასე, ნება-ნება, შენ — ყავას, მე — თოლიას
ვუბრუნებ მზის ამოსვლას ბამბუკის ანკესებით;
შენ ზიხარ ნერვიული, აბოლებ მენთოლიანს,
და მფერფლავ იდუმალი თვალების დაკვესებით.

შენ ზიხარ ნერვიული...

2007

გამოვიგონე

გამოვიგონე.
ბავშვის სიჯიუტით გავჩორქნე
და კოპიტის ტოტზე დავკიდე.
სანდახან ფოთლებსაც ვწვდები,
ოლონდ ხანდახან,
როცა უფროსები მიდიან.

გამოვიგონე.
ობობას ქსელივით დავხლართე და
პერანგის ფორმა მივეცი.
ასკილის ღილებით გავაწყვე.
შინაურ სუფრებზე ვიცმევ,
ხუთიოდ ჭიქაში...
ღვინოს გააჩნია.

გამოვიგონე.
ფითქინა თაბახებად ვაქციე,
ქალალდის თვითმფრინავებად,
რომლებიც ჩემი ვიწრო აივნიდან
რამდენიმე წამში ეშვებიან
დედამიწაზე.

გამოვიგონე.
თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა შევარქვი.
სანიშნესავითაა...
საკუთარ თავს ვინიშნავ ხოლმე, —
ძველ და სქელტანიან გამოცემას.

2007

ზაფხულის პასაჟი

რა ხანია მიტოვებულ ბუნგალოსთან ვზივარ
და მზის განკურნებას ვცდილობ.
წითელა შეეყარა,
სიცხე აქვს,
დაფეთებული ქურციკის გულივით კანკალებს.

წყალზე სიარული გისწავლია, —
არც კენჭების ხმაური გამიგია,
არც ქვიშის შარი-შური.
როგორ შემომენთე...
ან ეს წითელაშეყრილი მზე მომიჩრდილე,
ან მარცხენა თეძოს თავზე
მიხატული პეპლის ფრთა მათხოვე, —
დავინიავებ...

2007

აკვარიუმი

ქუჯის

როცა პანაწინა პეშვით
ზღვის წყალი რამდენჯერმე მოიტანე და
ქვიშისგან ჯადოსნური კოშკის აგება გადაწყვიტე,
დავრწმუნდი,
რომ ჩემი ნებისყოფა
შაგრენის ტყავივით დაილია,
თავმძიმე მზესუმზირას დაემსგავსა,
მზისკენ გახედვა რომ ეზარება.

მე მირჩევნია წვიმის ღრუბლები გაპოვნინო,
შუა უდაბნოში უძირო ჭები გაგითხარო,
ჩაძირული ხომალდების მუცლებიდან
ძვირფასი მარმარილო ამოვილო და
კოშკის მოსაპირკეთებელი ქვები გაგირანდო...
მერე შენი ლაშვარდი თვალების ფსკერზე
წყალმცენარეებში გალურსული
“ყვინჩილა” და “ტელესკოპი” შევნიშნო
და ფეხაკრეფით გაგშორდე,
რადგან იოლად ფრთხებიან
აკვარიუმის თევზები.

2007

დაბრუნება

აქ თოლიების გუნდი წვებოდა ცისკრის ქიმთან,
(შენ გეხსომება, ზღვაო, შენც, ნატყვიარო რტოვ და...)
წვიმდა იმაზე მეტად, ვიდრე ოდესმე წვიმდა,
თოვდა იმაზე მეტად, ვიდრე ოდესმე თოვდა.
ტკბილი “ვარადაც”, “ჩელაც” ყველა საჯიხვეს მოვდე,
ჩამოვიტოვე ცხუმი, ბზიფი, ფსოუ და მზიმთა...
თოვდა იმაზე მეტად, ვიდრე ოდესმე თოვდა,
წვიმდა იმაზე მეტად, ვიდრე ოდესმე წვიმდა.

2007

გაუგზავნელი წერილი ფიქრის

ფიქრი,
მჭადმა, ხურჯინის ფსკერზე რომ შემთხვევით ვიპოვე,
თანაბრად შემომინახა კეცის და შენი ხელების სითბო.
აქამდე ვერ გავტეხე,
მენანება თითქოს,
თან, მარტოხელა კაცი ჭამაშიაც ბრალიაო, —
ხომ გაგიგია?
მეც მონადირე ვარ,
ხოხობს ტყვიის ნაცვლად მზერა ვესროლე,
ბუმბული დამიტოვა — მერვე საოცრება.
წუხელ ირინა ენუქიძე მესიზმრა, ფიქრი,
რაც იმას ნიშნავს,
რომ სოფელს ველური ძალლები შემოესევიან,
რომ ნადირობის სეზონი დიდხანს გასტანს
და თოფი მზად უნდა მქონდეს.
მშრალი თუთუნი და თაბახი დამახვედრე,
ფიქრი.

2007

შემთხვევითობა

იმ ლამეს,
რომელიც ჯერაც შენი თვალებით მიმზერს
და შენს სურნელს მინახავს,
რომანტიკულ-მისტიკური სახელი —
“შემთხვევითობა” შევარქვით.
მას შემდეგ ტყე-ტყე დავდივარ
(ყველა მეტყევე გავიცანი),
სექტემბრის ფერებს ვაგროვებ,
ფიჭვის წიწვებს ვიჩერ და
ხმელი კრაზანებით ვბოლდები,
რათა შინ მოღწეულმა
ჩემი დაკემსილი შეზლონგი
უშფოთველ ლაგუნებში შევაცურო,
მერე მესამე თვალი გავახილო
და აღმოვაჩინო,
რომ მე თვითონ ვარ შემთხვევითობა
და რა გასაკვირია
იმ ლამეს “შემთხვევითობა” ერქვას?!.

2007

ქალაქს კურდღელივით სძინავს,
ლია და ჩარაზული დარაბებით,
მოჭუტული და მოჭიატე წათურებით.
ლამის შუქზე ირწევიან
ხევში ჩაჩეხილ კორპუსთა გაფუყული ჩრდილები,
ხევი კი ილუმინატორიდან
დანახულ მთვარეს უფრო წააგავს,
ვიდრე დედამინას.
მლოცველებს მაგონებენ
ნამდვილი მთვარისკენ
აჭრილი ანტენები.
დრო იყო, ჩვენც ვგავდით რაღაცით მლოცველებს,
როცა სახურავზე ვჩურჩულებდით
და ერთმანეთს ვუჩოქებდით
ერთმანეთის ლოცვები...
მენ ახლაც ლოცულობ, —
ასე მწერ წერილში,
მწერ, რომ ის ტაძარი, რომელშიც დადიხარ,
ყვავილთა ქალაქის აღმაფრენაა
და ლამაზი სახელი —
Santa Maria del Fiore ჰქვია.
ქალაქს კურდღელივით სძინავს,
სიზმარში ღრუბლების მარაოს ინიავებს.
მე კი ამ წუთას მისი ერთ-ერთი სახლის ასაფრენი
ბილიკიდან
დავყურებ იმ ხევს,
კურპუსთა გაფუყული ჩრდილები რომ ჩაყრილან

და ჩამესმის ახლადგადაღებული წვიმის
მონოტონური

კაპ.

კაპ.

კაპ.

კაპ.

და თითქოს ძალაუნებურად ვაქართულებ:

მამაო

ჩვენო,

რომელი

სარ

ცათა

შინა...

ქალაქს კურდღელივით სძინავს.

2007

განყოფილება ნომერი 6

აქ ჰაერიც ექიმების გამოწერილია.
ბლანტი ემულსია.
მძაფრი CO_2 .
ბრაშისი.
მოცარტი.
ჩაიკოვსკი.
პიანისტი
მუქი ჟოლოსფერი კიკინებით
მკლავზე...
კლავიშებზე...
სარკე.
აწენილი.
სერპანტინი.
“ასე ცეკვავდა პლისეცკაია”.
“რატომ პლისეცკაია?”
“კვირას, ხომ გითხარი?”
“პუდელს მოგიყვანენ?”
“?!....”
და ისევ ფარფატი.
ტრიალი.
ლიმილი.
თეთრი ხალათები.
სახეგამტკნარებით.
უცხოპლანეტელი.
აქ ხომ ჰაერიც კი გამოწერილია.
ნომერი 6.
— მძიმე?
— უმძიმესი!..
აღმა მივუყვები ახლა ასათიანს...
— მძიმე?
— უმძიმესი!..

2007

ბებო

ალიონზე,
როგორც კი სახლის ჭიშკარი თვალხილული ხდება,
იგი სამზარეულოდან გამოდის,
თეთრ თმებ და თავშალ გაშლილი
კალთას გაისწორებს
და ყველას და ყველაფერს
თავის სიკეთეს დააბერტყავს, —
ბოსტანსაც დაარწყულებს,
ცირასაც,
კოტინასაც...
კრუხებს წარუძღვება “მეიჭანის” ძახილით,
ლოგინში სურნელოვან ვაშლებს შემოგვიყრის.
სალამოს კი
მდინარიდან მობრუნებულებსა და
გვარიანად გარუჯულებს
მეასედ თუ მეათასედ შეგვახსენებს,
რომ მდინარესთან ჭაობი ახლოა
და რომ ჭაობმა “მონაჟამა” იცის,
რომ მესეფები წყლიდან ამოდიან და
ოქროსფერ ნაწიავებს იშლიან,
რომ ოჩოკოჩი მიტოვებულ ნისქილში ცხოვრობს
და თავს სუროს ფოთლებისგან
დაწნული გვირგვინით იმშვენებს.
მერე კი, ძალიან გვიან,
როცა ოდას მიბჯენილი
უშველებელი მსხლის კენწეროზე
მისი თავშალისფერი მთვარე ჩამოჯდება,
ხოლო მსხლის ქვეშ
დამშეული ზღარბები ახმაურდებიან,
მესეფები გამოვლენ წყლიდან
და ჩვენს უმფოთველ სიზმრებში
ოქროსფერ ნაწიავებს დაიშლიან.

2007

უსათაურო

არ ჰგავდა სწორედ ჯაშუშისას შენი ღიმილი...
დაცინვას? — არა!
არც ქედმალლობას!..
ეს არ იყო ნიმნის მოგება,
ან სიძულვილი — შენიღბული მასხარის ნიღბით...
ჰო...
ეს ღიმილი პირველ რიგში შენს ღიმილს ჰგავდა,
უფრო მომნამვლელს,
ვიდრე იყო დიდი ხნის წინათ,
როცა ქუჩაში სხვათა შორის მესალმებოდი,
მე კი,
თავდახრილს,
საკუთარი ლანდის მრცხვენოდა...

2008

ვერ გინახულე,
საკუთარ თავსაც ვერაფრით მოვუყარე თავი.
სიზმრის აყოლა დამჩემდა, —
ვერხვივით ვცახცახებ გაღვიძებისას;
შაკიქს აგვისტოს ქარების საფენებით ვწამლობ...
და ვფიქრობ, რომ არ არის მთავარი
გადამფრენი ფრინველების ჭირვეულობა,
არც კამათლებივით ნასროლი სიტყვები
და ჩვენი გარდაცვლილი ემბრიონები...
მთავარია, რომ კედლის საათი გაჩერდა
და მაინც წიკნიკებს.

2007

* * *

ჩაგაფურთხებენ,
ასე გეტყვიან, სული გაქვსო გადაღელილი,
მერე გულდაგულ დაგითვლიან კანზე ნაოჭებს,
მოინიშნავენ პირველსა და ბოლოს მათ შორის
და სიზმრებს,
უკვე ნანახსა და ჯერაც უნახავს,
შენივე სისხლით ირისებზე მიგახატავენ.
თუ გახსოვს, ერთხელ მეც დავწენე ჩემი სხეული,
რომ არ გეწვალა...
მე შემოვისხი სველ ტერფებზე მორიელები,
მე დავისერე იმედები ვერცხლის დანებით,
მე ამოვძირკვე მიმოზები ჩემი ხსოვნიდან,
მე გავურიე დარიშხანი ყველა ფიალას,
მე გავისროლე სიძულვილი ბუმერანგივით,
მე მივატოვე ჩემი ჩრდილი ტრიალ მინდორზე,
მე — უშიშარმა.
ახლა კი ვშიშობ,
სულისკნელში არ ჩაგაფურთხონ, —
ვშიშობ და მიკვირს.

2007

უპასუხო ზარი

უთუოდ დაწვიმს, ეს ღრუბელი ცას რომ მოსწყდება,
მე ჩავალ, წვიმას დავუხვდები დედიშობილა
და მერე ასე გალუმპული შემოვალ შენში, —
და კვლავ ტყუილად!..
უპასუხო ზარს ვემგვანები...
ვერ გამიგონებ, ანდა ველარ დამიმახსოვრებ
და გადამისვრი შენი ხსოვნის კატალოგიდან
ანტიყოფნაში.
შებურულ მინას შეაწყდება ჩემი წუხილი
და გაიბნევა სივრცეებში მონოტალლებად,
მოლეკულებად,
მისხალებად,
მისტერიებად,
ალიონებად,
ალმასებად,
ალფაბეტებად,
ილუზიებად,
იალქნებად,
იადონებად...
(რა მოხდა, თუკი უპასუხო ზარად მაქციე?..)
მე ავკრეფ ნომერს შეუცნობი გალაქტიკების
და კიდევ ერთხელ გავიგონებ
ხმატკბილ “ჩაკრულოს” — ზუმერს კოსმოსის.
ახლა კი, სანამ ეს ღრუბელი მთის წვერს მოსწყდება,
ჩავალ და წვიმას დავუხვდები დედიშობილა.

2007

ქალი და ქარი

მისტრალი, სიროკო, ლევანტე, გარბი,
ტრამონტანა, შამალი სხვადასხვა
გეოგრაფიულ განედებზე მქროლავ ქართა
სახელებია.

თავგზა აურია წვიმამ ია-იას,
მზისკენ მიიღრიკა ვაზმა ყველა მორჩი.
თითქოს დაალწიე თავი რია-რიას, —
ჰეგავხარ მწირს და მორჩილს...
წადი, შეიმშრალე ყველა კურცხალი და
დღეის ამას იქით ქალის ნურც ხალი და
ნულარც ყელი — ბროლი ნულარ შეგაშფოთებს.
ანი შეგიძლია სდიო ქარში ფოთლებს,
ანდა თვითონ ქარსაც, ხმა თუ აირია,
ქარიც, როგორც ქალი, მრავალნაირია.
სადღაც, საფრანგეთში, ქარი მისტრალია,
ისევ ტრუბადურებს ბაძავს, — ის მთვრალია...
ერთხელ მეცნიერთა გულის გასახარად
სცადა სიროკომ და კოშკი გადახარა.
თუკი უქარობა დაიდარდა, ნელი,
მშვიდი ლევანტეა მხსნელი დარდანელის.
მარტში, როცა გარბი ხვდება ტრამონტანას,
ალარ დაგავიწყდეს ქოლგის ჩამოტანა.
პოდა, მიდი ახლა, სდიე გიუმაჟ ქარებს,
ქარი, როგორც ქალი, როდი გაგახარებს,
მაგრამ ერთიცაა, თუ ვერ იარწივე,
ქარი არ გაგწირავს ზოგი დიაცივით.
ამ ცრუ ფერდობების არ ლირს გვიან ავლა,
მოქშენს შამალი და მზეც კი მიანავლა.
ქვიშის ქარიშხალი? ლიბრი? ჰო, ლიბრია...

აჲ, ეს გულია თუ ციცქნა კოლიბრია,
უცებ შეფართხალდა, მოჰყვა ამო ციალს,
როცა ცელქმა სიომ ჩადრი წამოსწია
უცხო მაღრიბელის ხელში ფორთოხალით,
როგორ უხდებოდა ღაწვზე ფართო ხალი...
მყისვე დაგიბრუნა ქარმა ძველი როლი —
გხიბლავს ხალები და გლუპავს ყელი — ბროლი.
თავგზა აურია წვიმამ კამელიას,
მზისკენ მიიდრიკა ვაზმაც ყველა მორჩი.
შენ ხომ საზრუნავი აღარ დაგელია, —
ქალიც მოვიდა და ქარიც აღარ მორჩა.

2007

ფ-იჭვები

ვით კეთროვანი,
ვერ ვცილდები ქვაბულს ჭვარტლიანს
და ტყის ლაქაშებს.
მკლავს ირონია:
— ამ ტყეებში ბევრი ზღმარტლია,
ტყე სულს აკაუებს...

აჱ, დავსვამ წერტილს
სამუდამოდ! — ძველი იჭვია...
ვფიქრობ ან, თუ რით...
გარდა ზღმარტლისა,
ამ ტყეებში ბევრი ფიჭვია
ძალზედ მაცდური.

2007

ცირა

ცირა ძაძუას ხსოვნას

რკინის კბილები აქვს სიკვდილს, ცირა,
დგას ბნელ კუთხეში და ტკვირავს, ცირა,
რასაც მოიხელთებს ტკვირავს, ცირა, —
ცირა...

ყელზე დაადგება სიკვდილს, ცირა,
შენი თეთრი ყელი... გესმის, ცირა,
რად ხარ გა-ლურს-ული, გძინავს, ცირა?! —
ცირა...

2007

* * *

o.-b

შენც გამიმეტე...
ყველა ცოდვამ ერთად მიწია...
ვეძებ საძვალეს — უშორესს და მძიმემიწიანს.

შენც მიმატოვე...
(ღმერთმა ტვირთი ვისაც აჰკიდა,
ალბათ, იგივე ჩამომათრევს კატაფალკიდან).

შენც დამივიწყე...
მირჩევნია გავქრე ახლავე,
რათა ვერავინ მიგასწავლოს ჩემი საფლავი.

2007

შაჰმერანი

აჲ, მე რას ვიზამ,
ანუ რაღას გამოვასწორებ?..
ხედავ, მდევნიან როგორც ასპიტს,
როგორც შაჰმერანს, —
მიჭირს სრიალი გზების გაგნებით...
მე მოვალ შენთან,
ჩემი ტანი შენ არ შეგაკრთობს, —
ჩვენ ბაგირივით დავიგრავნებით.
ხედავ, მდევნიან როგორც ასპიტს,
როგორც შაჰმერანს...

2007

შაჰმერანი – მითოლ. ქალი - გველი

* * *

ხუჭუჭთმიანი დამესიზმრა წუხელ ურსულა,
თეთრი ხიდი და ქუთაისის ქარაშოტები...
წავალ, ბალახზე ასპიტივით გავიშოტები
და შენს ნაბიჯებს ვუდარაჯებ სულგაყურსული.

არ მაქვს სურვილი გაუვალი ტევრის აკლების,
დღეს მირჩევნია ამ ბალახის ვიყო ზიარი.
წვიმის დრუბელმა ისე ახლოს გადამიარა,
თითქოს ზეცამდე დამრჩენოდეს წყრთაზე ნაკლები.

2006

* * *

მზეა ჩემს გარშემო, მაგრამ არ მინათებს,
აჲ, მე არ მინათებს მზე ყოვლისმომცველი.
ნეტა, თუ დავიცხობ შუბლს, ხაჭზე მინადებს,
მე — შენზე მლოცველი?..

ამური დაეძებს სამიზნეს უპრიანს,
თრთის ირმის ნახტომი, შორს ჩვენი ვერძია...
ხომ სჯობდა გავცლოდი ამ მინას კუპრიანს
და მთვარე მერწია?..

2006

* * *

ამ სოფლის მიღმა უკვე ასხია*,
ბრწყინავს მინდვრები და ვენახები,
ცამდე აწვდილი ფრთები მასხია,
მაგრამ ვერაფრით დაგენახვები.

მშორდები... ცრემლი ყელთან მძივდება,
და სინანული ციდან მეცრება, —
ამ ცივ ზამთარში, თუ შეგცივდება,
ფრთებს შემოგახვევ სპეკალ ზეწრებად.

ო, ეს ისრები, გრძელიც, მოკლეცა,
გარბიან... აჰა, დროის სიავე,
როცა დაგცხება, ამ ფრთებს მოვკეცავ
და ვით მარაოს დაგინიავებ.

2006

*ასხი – მთების მასივს ჰქვია სამეგრელოში

ტერენტი

ო, ეს წვალება გაგრძელდება, ალბათ, სულ ასე, —
მესმის ჩურჩული ფურისულასი.

მაგრამ უეცრად სხვა ძახილი მიხმობს შორიდან,
ამაოდ მელის ჩემი ორი და...

სხვაა ცის ფერი, ეს სხეულიც თითქოს სხვისია, —
ნინ სევდიანი სამთავისია.

2006

ზამთრის ტრიოლეტი

მზე იყო ისე გათოშილი და გაცრეცილი,
როგორც ყინვაში გაკიდული ძველი სუდარა,
შენს მარტოობას ვერაფერმა გამოუდარა,
მზე იყო ისე გათოშილი და გაცრეცილი.
პნელი ოთახი... აბაჟურის მკრთალი წრეწირი...
საკურთხეველთან აღვლენილი ლოცვა-მუდარა...
მზე იყო ისე გათოშილი და გაცრეცილი,
როგორც ყინვაში გაკიდული ძველი სუდარა.

2005

ზღვა

გელა ჩქვანავას

ზღვა შენკენ მოდის,
შენი თვალებით გიყურებს,
გნუსხავს.
შეღებილ ნაწნავებს ატყლაშუნებს,
ცელქობს...
ზღვა შენკენ მოდის,
ეჭვიანი ქალივით ღელავს,
მუხლები უთრთის,
ხომ არ დავბრუნდეო, — ფიქრობს.
გულში გზააბნეულ გემებს გიხლართავს,
ბოთლში მომწყვდეულ წერილებს გიკითხავს,
ტალღებად გფურცლავს.
ზღვა შენკენ მოდის,
მზეს რომ ჩაყლაპავს, სპირიტულ სეანსებს იწყებს,
შუქურებს ანთებს,
დამხრჩალთა სულებს გამოიხმობს...
ჭიქაში მოციმციმე ვარსკვლავებს გიყრის,
მთვარეს ჩაგინურავს...
ზღვა შენკენ მოდის,
ვნებიანი ქალივით,
ანდა კაცივით,
დუჟმორეული საოცარ ნიჟარებს გატანს,
რათა ჩააფერფლო,
ანდა ჩაანძრიო,
როცა მონატრება მოგაწვება...

ზღვა შენკენ მოდის...

2008

განთიადი

ჩემი გათოშილი ოთახის
კედლებზე დაკიდულმა საათებმა —
გამოცდილმა მეთევზეებმა —
მთელი ღამე ისე დაჟინებით ითევზავეს,
რომ ბოლოს და ბოლოს
დიდი ვერცხლისფერი თევზი —
განთიადი დაიჭირეს.
ბადიდან ამომხტარი განთიადი
ზანტად აფართხალდა
და ნახევარ დედამიწაზე გაიშხლართა.
მე აღმოსავლეთის გორაკზე ავედი
და ცას მიბჯენილი ხეების ვარჯებისგან
უშველებელი კოცონი დავანთე
ვერცხლისფერი განთიადის შესაწვავად.

2005

ვია დოლოროსა

მოწყალეა ღმერთი,
გნახავ ბოლო დროსაც!...
იხლართება ფერხთით
ვია დოლოროსა.

ეს გზაწვრილიც დილით
გადაკვეთა ქოსამ;
დამიკარგა ძილი
ვია დოლოროსამ.

ცას — ფერები მქისე,
გულს ნაღველი მოსავს;
დავადექი ისევ
ვია დოლოროსას,
ვია დოლოროსას,
ვია დოლოროსას...

2007

**ჯადოსნური წამოსასხამი
(ალმასის სონეტი)**

როგორც ლამაზმანს ზომიერი ფერუმარილი,
უხდება ცისთვალს ცისარტყელას მკრთალი კონტური,
თუმცა ცისთვალი რა ხანია გვიმზერს მომდურლის
სველი მზერით და... იცრიცება ბოლო არილიც.

აჲ, მერამდენედ ჩურჩულებენ უკვე ჩემი და
შენი ჩრდილები თოლიაზე, ზღვაზე, პალმაზე...
უნათებთ მთვარე — მოპარული ერთ დროს ალმასი
ბაგრატოვანთა მოოჭვილი დიადემიდან.

და დიდხანს, დიდხანს ჩურჩულებენ ასე ჩრდილები,
ვიდრე ტევრები ერთიანად დაითრთვილება,
ვიდრე აისის ქუთუთოთა ნაზი ხამხამი

ციალს ალმასის დააცხრობს და დაიყოლიებს...
ან კი უცნობი ნაპირისკენ მიაქვთ თოლიებს
ეს ღამე — ჩვენი ჯადოსნური წამოსასხამი.

2005

ნოსტალგიური (სადაფის სონეტი)

რას ველი ნეტავ, ანდა რისი მეიმედება?!.
(იყო ვარდები, ვარდზე მეტი იყო ეკალი!..)
ჭრაჭუნობს ფეხქვეშ წუხანდელი თოვლი სპეკალი
და შორს, ღრუბლებთან, გაწოლილან თეთრი ქედები.

რითი მგავს თოვლი? — არც სახლი აქვს, აღარც სარდაფი,
მოჰყვება ისიც თმაგანენილ ქართან წონიალს...
ჩემი ტკივილი დაკარგული ზღვების ძონია,
თოვლის ტკივილი — გაბზარული მთვარის სადაფი.

ვიცი, ტალღების მონატრებას გადავაკვდები;
მეფობს ზამთარი გათოშილი სახის ნაკვთებით,
არ ჩანს მწვერვალთა, ცადაწვდილთა, დასალიერი...

იქნებ სიკვდილი ამდაგვარი სწორედ ბედია,
ო, ღმერთო ჩემო, რა ნაცნობი სამკუთხედია —
ამადეუსი, საწამლავი და სალიერი.

2005

**მთვარის სიზმარი
(ქარვის სონეტი)**

ვაგლახ, ერთმანეთს გაურბიან ჩვენი ქუჩები,
(ნუთუ განგებამ ყოველივე ასე წარმართა?)
შენს სურათხატთან ვილოცები, როგორც წარმართი,
ცისკენ ვილტვი და მაინც მიწას ვებლაუჭები.

დღეს სულისკნელში საოცარი სიმსუბუქეა,
თითქოს კალმახმა გამოიხსნა თავი ბადიდან,
თითქოს ამ წუთას ხელმეორედ დავიბადე და
გავცდი უდაბნოს, დღენიადაგ ბნელს და ბუქიანს.

უდაბნო იგი, ცხელი ქვიშის ქარვასლიანი,
იხუტებს მთვარეს... ჩამოდვენთილ ქარვას ლიანის
და მაგნოლიის მინარევით მიეძინება...

ვინ იცის, იქნებ მე და შენ ვართ მთვარის სიზმარი,
მთვარის, რომელსაც ყოველდღამ და ყოველ ცისმარე
ძილს უკარგავენ ძალლები და მუეძინები.

2006

მეჯლისზე (გიშრის სონეტი)

სძინავთ სასახლის პალატებში შიშველ მადონებს,
დუმს როიალი — მჭვირვალი და ნაფეტიშარი.
აქ ყოველივე თქვენს მშვენებას უიადონებს,
როგორ გიხდებათ ყელი — ბროლი, ხალი — გიშერი.

სვალ სასახლეში უჩვეულო კარნავალია —
ვალსით, ვუალით, ხავერდებით... იქნებ, არც იცით,
ირგვლივ რამდენი მოშურნე და ავი თვალია,
შემოგყურებენ მოშიშვლებულ მხრებზე ლაციცით.

მძლავრობს ვნებათა, აწყვეტილთა, ორომტრიალი
და ლალისფერი ბოკალების ისმის წკრიალი;
ფრთხილად, მათ შორის შხამიანი ვერცხლის თასია...

მაგრამ არ ვიცი, გამოგიწვდით იმ თასს რომელი,
თუკი უთქვენოდ თუნდაც წამით ყოფნა მომელის,
იცოდეთ, ისიც ფუჭია და ჩალის ფასია.

2005

დაგვიანებული (მარგალიტის სონეტი)

რამ დამასიზმრა შორეული გეთსიმანია,
მოხეტიალე საზანდარი, ბრძენი ლაო-ძი?!.
დამასაფლავეთ ნიჟარების სასაფლაოზე,
სადაც პალმების დაღვრემილი ხეივანია.

როგორ მიყვარდი, სანატრელო, როგორ... ო, ნეტა
ჟლალმა აისმა უფერული ზეცა გაღადროს;
ხედავ, გრძნობებშიც გამოგიტყდი, მაგრამ რაღა დროს?
ვეღარ მოგწვდება ჩემი ხმა და ჩემი სონეტი.

ვიცი, ოდესმე მომიგონებ, უფრო ადრე კი
მიწის სიმძიმე შემომიმტვრევს ფიცრებს გადრეკილს,
ჩამეშლებიან საღილეში ხმელი ხავსები...

მოვა მაისი ვარდისფერი მარგალიტებით,
შემაგროვებენ ქალწულები თხელი თითებით
და ფაიფურის ლარნაკებში მომათავსებენ.

2005

**გაზაფხულის ბუნიობა
(ზურმუხტის სონეტი)**

ი. გ.-ს

თითქოს უცხო ვარ სამშობლოში და უცხოეთის
ზეცა მხურავს და ქარი მხუთავს შარახვეტია;
მწვანე ზურმუხტი ამ ტყეების ამულეტია,
ამოუცნობი კაეშანი — ნაღდი პოეტის.

ისევ შორსაა დედულეთი... და ვით დარაბას
ღიად დარჩენილს აწყდებიან მწუხრის მწერები, —
წავალ და... ვიღაც ჩემს საფლავსაც მოეფერება,
წავალ და... ვიღაც გადურჩება დავიდარაბას!..

ვაგლახ, ნაპირთან ხავსიანი გზები ოხრავენ,
დუმს ონინარი, მოხუცივით წელში მოხრილი...
ვკითხულობ: ხანაც გალაკტიონს, ხანაც „ულისეს“...

მომდევს ღრუბელი, დაჭერილი წვიმის ქამანდით;
დღემდე ვინახავ საიდუმლოს, შენ რომ გამანდე,
და ველი ასე ბუნიობას გაზაფხულისას.

2005

დაგაქვს სხეული — დამსხვრეული ნავი მეთევზის,
აღარც საჭეა, აღარც აფრები...
წყევლის მინდორზე თეზევსივით
დაიზაფრები.
ვინ იცის, იქნებ შენი შვება სწორედ ეგ არი,
დაგაქვს სურვილი — ზღვის ქაფივით დაუდეგარი.

2003

თოვლის კაცი

მესიზმრა: მეწყერს დაეტანა ძველი ჯებირი,
მკვდარი ქალაქი ირწეოდა ღია ქანებთან
და გაღელილი ჰელესპონტის თეთრი ზეფირი
დაღლილ ფარვანებს აფრებივით მიაქანებდა.

მაგრამ სიზმარი ამდაგვარი ჯერ არ მქონია:
მთაში წავედი, ჭიუხებში სამგლედ ვიარე...
მესმოდა ზამთრის სიმფონია —
სამგლოვიარო.

ჰა, შენც გამოჩნდი, ალმაცერად გცემდა ქარცივი,
შეჰეკივლე, როცა შეგეფეთე თოვლის კაცივით.

...გამომალვიძა შეკივლებამ, ჭერს რომ შეჰეკიდე,
თურმე სიზმარში თოვლის კაცი გამოგეკიდა.

2005

ოძელა

მზე შემოდგომის უჩვეულოდ გაფერმკრთალდება,
ვერ დაუდგება გაყვითლებულ ხეებს თავდებად.

ფოთლის შრიალი ცხრა მთას იქით წავა დროებით, —
წეროებისკენ გადაიფრენს კენწეროებით.

მალე მწვერვალთა სიმაღლისგან თავბრუ დაესხმის
და სადმე პარში შეხვდებიან წერო და ეს ხმა.

გადმოეშვება ღრუბლებიდან წვიმის ოლარი
და ერთიანად დამასველებს შენი “ბოლერო”.

მზე შემოდგომის ყოველივე ცოცხალს მოცელავს,
ოძელა...

2004

ნიუარები

ფიქრიას

კოჯორის ტყის სიზმრები რომ დავისიზმრეთ, გახსოვს?
ისეთი თოვლი იყო,
ფილტვებს პეპლის ფრთებივით ვშლიდით,
მერე ამ ფრთების ბოლოებიდან,
უამრავი კილომეტრების მიღმიდან
გამოჩენდა სპილენძისფერი ზღვა
და ჩვენც სხვადასხვა ზომის ქვებისგან
საკუთარი სხეულები ავაწყვეთ,
საკუთარი ხმები ნიუარებზე ჩავიწერეთ
და ბალიშის ქვეშ ამოვიდეთ,
რათა ძილშიც ერთმანეთისთვის გვესმინა.

იმ ქალაქში არ ქროდნენ გაბრაზებული ქარები,
ჰორიზონტს მიყრდნობილი გემები
ვეშაპებს ბაძავდნენ და
კარგასებზე ღუზების რაკუნით საუბრობდნენ.
იმ ქალაქში არ იყვნენ ლამურები,
ამიტომ რომანტიკული წყვილები
თამამად ადიოდნენ სახურავებზე
და შეჰერებდნენ ლამის ცას,
რომელიც ყოველთვის იძლეოდა უეცარი
წაბორძიკების,
სუნთქვის შეკვრის,
მცირას და რა ლამაზიას თქმის საბაბს,
და ცრიდა.....
ამ ცას სიგიურემდე უყვარდა წვიმა,
ჯამბაზივით მიმოდიოდა წვიმის თოკებზე
და ცისარტყელას რგოლებს ატრიალებდა.

გახსოვს,
როცა აღმოვაჩინე, რომ სახლი არ მქონდა,
ობოლი ბავშვივით დავიბენი,
მიწისქვეშა გადასასვლელების ხმაური გავიზეპირე
და უცებ გამახსენდა, რომ ერთ დროს
შენ იყავი უფრო მე, ვიდრე მე,
და შენი სახლი უფრო ჩემი, ვიდრე ჩემი,
და შენი სუნთქვა უფრო ჩემი, ვიდრე ჩემი
და ხელისგულზე ჩამქრალი სიგარეტიც გამახსენდა
და დაგიძახე.
ეს იყო მაშინ,
როცა საფოსტო მტრედებივით დაფრინავდნენ
და უხმოდ სწვდებოდნენ ერთმანეთს
ჩვენი ხმები.

... ”ნაიკის” დახეული ბოტასი თუ გაქვს
და შავი ჯინსის შარვალი
და ყველა ჩამქრალი ფარანი
სიმდის მოცეკვავე გგონია,
წერ.
წერ ჟღალწვერა მოხუცზე,
რომელიც ასევე წერდა,
ყოველდღე სერვეთას ყავახანაში დადიოდა
და იმ ქალს იხსენებდა,
რომლის თვალებიც
ენგურიდან ახლადამოყვანილი
კალმახის კოპლებს წააგავდნენ.
წერ ზღვაზე,
რომელსაც ნაპირი მწვანე დეკოლტესავით ეცვა
და ტალღები ჯიშიანი ქალის მკერდივით უდუღდა.
წერ ომზე,

სადაც...

რისთვისაც...

როდესაც...

რის გამოც...

დანგრეული ციხის ჯებირებთან

წყალმცენარეების სუნში აღრეული

გახრწნილი დელფინების სუნი იდგა და

თვალდათხრილი ქალები

ავტომატის ტყვიებს ეძებდნენ

ფერდში,

მუხლებში,

თირკმელში,

გულში...

ყოველთვის,

როცა მზე პირს იბანს,

ცისარტყელას ზონრებზე გამობმული

ქალაქი-არლეკინი

უწონად მდგომარეობაში გადადის.

იქ არც ჟანგბადია,

არც ნახშირორჟანგი,

იქ სარეველა ბალახები

ვაგზლის ქვაფენილზე ამოდიან

და სამგზავრო მატარებლებს ელიან.

ამბობ, არ გვინდაო ომზე...

თხილის წენელებისგან დაწნულ შეზლონგებს მთავაზობ,

თუთის ზეწრებზე მაწვენ...

მე ხომ აბრეშუმის ჭია ვარ

და მუდამ გაფრენაზე ვფიქრობ,

მე ხომ აბრეშუმის ჭია ვარ

და საკუთარ თავისუფლებას ვატყვევებ,

მე ხომ აბრეშუმის ჭია ვარ

და მაინტერესებს

მართლა მაცლიან ჭუპრიდან გამოფრენას,
თუ ცხელი ჰაერით მომგუდავენ,
რათა ჩემი დანერწყვილი კედლები
შრიალა პერანგებად აქციონ.

უფერული ღრუბლები,
უსახელო გმირები და
უპილოტო თვითმფრინავები დაფრინავენ
ჩემი სამშობლოს ცაზე.
ჩემს სამშობლოში,
როგორც ექსპერიმენტულ ელექტროლუმელში,
მილეთის მზარეულები ჩამოდიან და
უცნაურ ნამცხვარს აცხობენ:
ერთი მეორედი მე,
ერთი მეორედი შენ,
ერთი მეორედი ის...
(ნახევარი კაციო, რომ იტყვიან!..)
ერთი მეორედი მთვარე
(ცაზე რომ მოჩანს ის კი არა, რომ არ მოჩანს),
ნახევარი ჭიქა გესლი,
გესლზე ცოტა მეტი იმედი,
ბებიაჩემი — გასული საუკუნის
მრავალწერტილი...
მისი ჩანურული თვალები
(თუკი ეს ჯერ კიდევ შესაძლებელია)...
კარგად მოვურიოთ,
ვაცხოთ ნელ ცეცხლზე
რამდენიმე თვე,
ან რამდენიმე წელი...
ზემოდან მოვაყაროთ წვრილად დაფშვნილი მიწა
გაგრიდან,
გუდაუთიდან,

სოხუმიდან,
გულრიფშიდან,
ოჩამჩირიდან,
ტყვარჩელიდან,
გალიდან...
აი ის, ცხვირსახოცებით რომ ჩამოაქვთ
დევნილთა კუბოებზე მოსაყრელად.

ვდუმვართ.
დუმილი ვასნავლეთ ყველაფერს:
გაბზარულ ჭიქებს,
წვიმიან ფანჯრებს,
ეჭვიან საათებს...
მხოლოდ ნიჟარები გვახსენებენ,
ლამეს რომ სანთლები აკლია,
სუნთქვას რომ სიხშირე აკლია,
პალმებს რომ წყალი აკლია,
და ჩვენ — ერთმანეთი.

წავალ,
სქელფერდიან გემებს ვინახულებ,
მტირალა ნიჟარებს ჩავუტან,
რათა ყოველი აჩქარებისას
წყალწყვის ხაზზე დაიდონ
საკუთარი გულისცემის მოსასმენად.

2008

სარჩევი:

| | |
|--|----|
| ალუბალი | 3 |
| მომეჩვენა | 4 |
| ქურდი | 5 |
| (***) მკვდარი ზღვის წყალივით | 6 |
| შემოდგომა | 7 |
| ოქროს ქვიშებთან | 8 |
| შემილოცე | 9 |
| განთიადი | 10 |
| ბათუმი...ტალინი.. | 11 |
| უშენობა | 12 |
| მოდი, გაგტედოთ | 13 |
| ხურდა ფულივით | 14 |
| ხრჩოლავს | 15 |
| სანგარში | 16 |
| (***) განვედ, უამიერო, ტრამალები | 17 |
| სექტემბერია | 18 |
| მერწმუნე, ბებო!.. | 19 |
| ხეები | 20 |
| (***) ხომ ვარ ყარიბი | 21 |
| (***) არ გძინავს, ვატყობ | 22 |
| მოპირდაპირე სახლის სახურავიდან | 23 |
| წყაროსთან ახლოს | 25 |
| ილუზია | 26 |
| იაპონური ჩანახატი | 27 |
| ლია კაფეში | 28 |
| კადრი | 29 |
| “სააშიკო-სალალობო” ლექსი | |
| მენდელევის ტაბულის ელემენტებით | 30 |
| თხოვნა ტყისადმი | 31 |
| კარდიოგრამა | 32 |
| ჩოხში | 33 |
| კედლები | 34 |
| თორმეტივე საათის მიმართულებით | 35 |
| (***) ცახცახებს მთვარის ათინათი | 37 |
| მთაწმინდაზე | 38 |
| ამინდის პროგნოზი | 39 |

| | |
|---|----|
| რეისი “-----: თბილისი” | 40 |
| როგორც კინოში | 41 |
| მესივარი ტყიდან | 42 |
| პასეანსი | 43 |
| ავტოტომია | 44 |
| (***) როცა გაზაფხულდება | 45 |
| მიტოვებული სულების სეზონი | 46 |
| (***) ამ გზას რა გალევს | 47 |
| გადასასვლელი მეორე ხაზზე | 48 |
| აჩრდილები | 49 |
| (***) არც ისე ცხელა | 50 |
| მარტი | 51 |
| გაზაფხულის ტრუბადურები | 52 |
| თავშესაფარი | 53 |
| გადახრილი ლექსი | 54 |
| ფუნიქსა | 55 |
| (***) ჩემი ბავშვობა | 56 |
| გვირილები | 57 |
| მოსაცდელში | 58 |
| ფობია | 59 |
| ზეირთსაქცევი | 60 |
| (***) ადესის მზეჩანაულ მტევნებს ვიგონებ | 61 |
| ანეტ | 62 |
| მეგობრებს | 63 |
| ჩემი თვალები | 64 |
| ჭა | 65 |
| სადაფის მთვარე | 66 |
| დაცული ტერიტორიები | 67 |
| მთვარე | 68 |
| ტაბუ | 69 |
| ჩილიმი | 70 |
| ტყეში | 71 |
| ბეჭდები | 72 |
| ჩემი ანდერძი | 73 |
| მაღლებრენე | 75 |
| არიშა | 77 |
| (***) შენ ზისარ წერვიული | 78 |
| გამოვიგონე | 79 |

| | |
|--|-----|
| ზაფხულის პასაჟი | 80 |
| აკვარიუმი | 81 |
| დაბრუნება | 82 |
| გაუგზავნელი წერილი ფიქრის | 83 |
| შემთხვევითობა | 84 |
| (***) ქალაქს კურდღელივით სძინავს | 85 |
| განყოფილება ნომერი 6 | 87 |
| ბებო | 88 |
| უსათაურო | 89 |
| (***) ვერ გინახულე | 90 |
| (***) ჩაგაფურთხებენ | 91 |
| უპასუხო ზარი | 92 |
| ქალი და ქარი | 93 |
| ფ-იჭვები | 95 |
| (ცირა) | 96 |
| (***) შენც გამიმეტე | 97 |
| მაპმერანი | 98 |
| (***) ხუჭუჭთმიანი დამესიზმრა | 99 |
| (***) მზეაჩემს გარშემო | 100 |
| (***) ამ სოფლის მიღმა | 101 |
| ტერენტი | 102 |
| ზამთრის ტრიოლეტი | 103 |
| ზღვა | 104 |
| განთიადი | 105 |
| ვია დოლოროსა | 106 |
| ჯადოსნური წამოსასხამი | 107 |
| ნოსტალგიური | 108 |
| მთვარის სიზმარი | 109 |
| მეჯლისზე | 110 |
| დაგვიანებული | 111 |
| გაზაფხულის ბუნიობა | 112 |
| (***) დაგაქვს სხეული | 113 |
| თოვლის კაცი | 114 |
| ოძელა | 115 |
| ნიჟარები | 116 |

რედაქტორი: მარინე ტურავა
კომპიუტერული დაკაბადონება: ნუგზარ არჩემაშვილი